IBAO
International Behavior Analysis Organization
Ethics, Education, Confidence

საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსი

მოთხოვნები

Georgian Translation Team
Tamar Sekhniashvili, MA, BCBA, IBA
თამარ სეხნიაშვილი,
Gvantsa Chvamania MA, IBA
გვანცა ჩვამანია
Madonna Bonny, MS, BCBA, LBA, IBA
მადონა ბონი
Lika Malania, Psychologist, IBT
ლიკა მალანია

ქცევის ანალიზის
საერთაშორისო
ორგანიზაცია (IBAO)
2021 V101

ქცევის საერთაშორისო ანალიტიკოსის სერტიფიცირების მოთხოვნები (IBA)

01

საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსის სერტიფიკატის მისაღებად არსებობს ორი მცირედით განსხვავებული გზა, თუმცა თითოეული საჭიროებს მსგავსი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ეს მოთხოვნები წარმოდგენილია ოთხ ძირითად კატეგორიად. ესენია: რეგისტრაცია, განათლების მოთხოვნების შესრულება, სუპერვიზიის საათების დადასტურება და (IBA)გამოცდის ონლაინ ჩაბარება.

გახსენით გვერდი www.theibao.com და შექმენით თქვენი ანგარიში. დარეგისტრირდით გამოცდაზე და გადაიხადეთ საფასური.



დაადასტურეთ განათლების შესაბამისი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი: „მაგისტრის ხარისხი“ ან „პროფესიული გამოცდილება“.

დაადასტურეთ სუპერვიზიით ნამუშევარი 1000 საათი და სუპერვიზიის 50 საათი გაცემული ქცევის ანალიზის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBAO) მიერ აღიარებული სუპერვიზორის.



ჩააბარეთ გამოცდა (IBA) ონლაინ.

საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსის (IBA) სერტიფიცირების მოთხოვნები

02

ბაკალავრის ხარისხი

(ან სრული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი)

დარეგისტრირდი ქცევის ანალიზის საერთაშორისო ორგანიზაციის(IBAO) გვერდზე

გადაიხადეთ საფასური

გაეცანით და დაეთანხმეთ პროფესიული ეთიკის დოკუმენტს

მაგისტრატურა

სუპერვიზიის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტი

შეასრულეთ მოთხოვნები (საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსთა სავალდებულო სასწავლო დავალებათა ნუსხა(REOs))

მაგისტრის ხარისხის მიღება

სუპერვიზიით ნამუშევარი 1000 პრაქტიკული საათი

სუპერვიზიის 50 საათი

დაასრულეთ უწყვეტი განათლების 12 საათიანი ტრენინგი

კანდიდატის უნარე ბის შეფასება/ტესტირება

პროფესიული გამოცდილება

სუპერვიზიის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტი

შეასრულეთ მოთხოვნები (საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსთა სავალდებულო სასწავლო დავალებატა ნუსხა(REOs))

კანდიდატის პროექტი

სუპერვიზიით ნამუშევარი 1000 პრაქტიკული საათი

სუპერვიზიის 50 საათი

დაასრულეთ უწყვეტი განათლების 12 საათიანი ტრენინგი

კანდიდატის უნარების შეფასება/ტესტირება

IBA გამოცდის წარმატებით ჩაბარება

სუპერვიზორის მოთხოვნები

03

ქცევის ანალიტიკოსებს, რომლებიც ახორციელებენ სუპერვიზიას მნიშვნელოვანი როლი აქვთ ქცევის გამოყენებითი ანალიზის გავრცელებაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ინტენსიური მეთვალყურეობით, ეთიკური პრინციპების დაცვითა და გამოცდილების გაზიარებით სუპერვიზორი ეხმარება კანდიდატს (IBA) პროფესიული უნარების განვითარებაში.

ქცევის საერთაშორისო ორგანიზაცია (IBAO) ითვალისწინებს იმას, რომ ქცევის გამოყენებითი ანალიზი სხვდასხვა ქვეყანაში განსხვავებული ტემპით ვითარდება, ამიტომ მოქნილ და ფართო სპექტრის შესაძლებლობას სთავაზობს სუპერვიზორობის კანდიდატებს.

სპეციფიური მოთხოვნები

სუპერვიზორის კვალიფიკაციის შემოწმება ჩატარდება კანდიდატების **10%**-ში, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ სუპერიზორებს ქცევის საერთაშორისო ორგანიზაცია**(IBAO)** მოსთხოვს კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენას.

სუპერვიზორი შეიძლება იყოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ჩამოთვლილთაგან სულ მცირე ერთ პირობას:

1. აქვს მოქმედი საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსის (IBA) სერტიფიკატი;
2. სხვა მასერტიფიცირებელი საბჭოს მიერ სერტიფიცირებული ქცევის ანალიტიკოსია და აქვს მოქმედი სერტიფიკატი (მაგ., BCBA, BCBA-D, QABA);
3. ფლობს მაგისტრის ან დოქტორის ხარისხს ABAI აკრედიტირებული პროგრამებიდან;
4. ფლობს მაგისტრის ან დოქტორის ხარისხს მომიჯნავე სფეროში და გავლილი აქვს საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსისათვის სავალდებულო სასწავლო დავალებათა ნუსხა;
5. ფლობს მაგისტრის ან დოქტორის ხარისხს და აქვს სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება ქცევის გამოყენებითი ანალიზის სფეროში სუპერვიზორად მუშაობის (ასეთ შემთხვევაში კანდიდატი შემოწმებულია და მისი კომპეტენცია აღიარებულია ქცევის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBAO) მიერ)

სუპერვიზიის მოთხოვნა

04

თითოეული IBA კანდიდატი ვალდებულია ჰყავდეს სუპერვიზორი.

სუპერვიზორის მოთხოვნა წარმოადგენს IBA კანდიდატის პასუხისმგებლობას.

სუპერვიზორის მოთხოვნა შესაძლებელია theibao.com გვერდზე საკუთარ ანგარიშში „სუპერვიზორის მოთხოვნა“("Supervisor Requests") ღილაკზე დაჭერით. ამ ღილაკზე დაჭერით გაიხსნება ახალი ფანჯარა, სადაც კანდიდატს შესაძლებლობა ექნება ჩაწეროს სუპერვიზორის სახელი, გვარი და ელექტრონული მისამართი.

ამის შემდეგ ქცევის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBAO) მიერ გენერირებული ავტომატური შეტყობინება გაეგზავნება პოტენციურ სუპერვიზორს.

> პოტენციური სუპერვიზორი შესაძლებელია არ იყოს დარეგისტრირებული ქცევის საერთაშორისო ორგანიზაციის გვერდზე (IBAO) და შესაძლებელია არ ფლობდეს საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსის სერტიფიკატს (IBA). საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსის სერტიფიკატი (IBA) სუპერვიზორისთვის განსაზღვრული 5 სხვადასხვა შესაძლებლობიდან ერთ-ერთს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა სუპერვიზორი საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოს (IBA) იმისათვის რომ მიიღოს კანდიდატის მოთხოვნა, ვალდებულია დარეგისტრირდეს ქცევის საერთაშორისო ორგანიზაციაში (IBAO), დაეთანხმოს ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ ეთიკის პრინციპებს და შექმნას საკუთარი ანგარიში.

სუპერვიზორის მიერ მოთხოვნის მიღების შემთხვევაში კანდიდატი (IBA) მიიღებს შეტყობინებას. ამის შემდეგ სუპერვიზორი და კანდიდატი (IBA) სუპერვიზიის შესახებ შეთანხმებას ელექტრონულად აწერენ ხელს.

სუპერვიზიის შესახებ შეთანხმება

05

სუპერვიზიით 1000 პრაქტიკული საათის დაგროვებამდე კანდიდატი და სუპერვიზორი ვალდებულნი არიან სუპერვიზიის შესახებ შეთანხმებას მოაწერონ ხელი. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს კანდიდატს უფლება დააგროვოს პრაქტიკული საათები სუპერვიზიით.

სუპერვიზიის შესახებ შეთანხმება ხელმისაწვდომია, როგორც კანდიდატის ასევე სუპერვიზორის პირად ანგარიშში ქცევის ანალიზის საერთაშორისო ორგანიზაციის((theibao.com) გვერდზე.



თარიღი:

07/07/2021

ეს შეთანხმება აღწერს ქცევის გამოყენებით ანალიზში სუპერვიზიის პრაქტიკის დროს ურთიერთშეთანხმებას, როლს და მოლოდინებს:

A.J. iba Candidate (IBA კანდიდატი) და Michael Iba Supervisor (სუპერვიზორი)

IBA კანდიდატის სუპერვიზია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს სერტიფიცირებისას. ამ პროცესის დროს კანდიდატს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ცოდნა და განავითაროს პრაქტიკული უნარები IBAO-ს ქცევის ანალიტიკოსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

სუპერვიზიით მუშაობის პერიოდი მოიცავს 1000 საათს, სადაც ყოველ 20 საათზე მოდის 1 საათი სუპერვიზია. ჯამში სუპერვიზიის საათი განსაზღვრულია 50 საათი. 1000 სამუშაო საათი უნდა დაგროვდეს 12 თვის განმავლობაში. თუმცა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ამ საათების 24 თვეში დაგროვება. შეთანხმების პერიოდი მოიცავს თარიღებს.

06/30/2021 და 07/07/2021

სუპერვიზიის საათების დაგროვება ხდება მხოლოდ შეთანხმების შემდეგ. ყველა კანდიდატისათვის სავალდებულოა IBAO-ზე დარეგისტრირება, სამუშაო საათების ატვირთვა და შემდგომშიყველა ცვლილებისას ინფორმაციის განახლება.

სუპერვიზორმა უნდა აკმაყოფილებდეს IBA სუპერვიზორისთვის საწირო მოთხოვნებს. სუპერვიზორი და IBA კანდიდატი ვალდებულია განახორციელოს სუპერვიზია და პრაქტიკა IBAO-ს ეთიკურ პრინციპებთან შესაბამისობაში. სუპერვიზიის აუდიტი კანდიდატების 10%-ში ხორციელდება. სუპერვიზორები თანხმდებიან , რომ ატვირთონ კანდიდატის კვალიფიკაციის და სუპერვიზიის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

პრაქტიკული გამოცდილება:

კანდიდატი მიიღებს და განავითარებს უნარებს, რომელიც შესაბამისობაშია IBAO-ს ქცევის საერთაშორისო ანალიტიკოსის განათლების მოთხოვნებთან შესაბამისობაში(REOs). სუპერვიზია შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალური ასევე ჯგუფური, პირისპირ და დისტანციურად.

მოთხოვნები:

კანდიდატი იღებს ვალდებულებას რომ აწარმოებს სუპერვიზიისთვის საჭირო დოკუმენტაციას. სუპერვიზორი იღებს ვალდებულებას რომ ხელმოწერით დაადასტურებს ყოველის სუპერვიზიის საათის შემდეგ კანდიდატის სუპერვიზიიის ფორმას. კანდიდატი და სუპერვიზორი ვალდებულები არიან რომ ატვირთო სუპერვიზიის ფორმა IBAO-ს ვებ-გვერდზე ყოველი სუპერვიზიის შემდეგ. პრაქტიკული/პროფესიული გამოცდილებით დადასტურების შემთხვევაში კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს ორი პროექტი. სუპერვიზორი კანდიდატის თითოეული პროექტისთვის ცალკე ფორმას ავსებს.

სუპერვიზორი ირჩევს კანდიდატის უნარების ჩამონათვალის 2 ფორმას და თითოეულ ფორმას ცალ-ცალკე აფასებს. სუპერვიზორი კანდიდატის უნარების შეფასების თითოეულ ფორმას ავსებს.

სუპერვიზიის შესახებ შეთანხმების შეწყვეტა შესაძლებელია შეთანხმების ორივე მონაწილის მხრიდან მათთვის სასურველ დროს. თუმცა, შეწყვეტამდე შეთანხმების ორივე მხარე ვალდებულია იზრუნონ პრობლემის გადაჭრის გზებზე. კანდიდატი პასუხისმგებელია კლიენტისგან მიიღოს თანხმობა სუპერვიზოთან კონფიდენციალური ინფორმაციის გაზიარებაზე.

კანდიდატი და სუპერვიზორი თანხმდებიან, რომ სუპერვიზორია პასუხისმგებელი პროგრამის მართვისას კლინიკური გადაწყვეტილების დროს. ორივე მხარე თანხმდება რომ IBAO არ არის პასუხისმგებელი შესაძლო ნეგატიურ სიტუაციაზე, როგორც სერვისის მიწოდებისას, ასევე სუპერვიზიის პროცესში. ორივე მხარე თანხმდება რომ პრაქტიკული სამუშაოს განხორციელება და სუპერვიზიის დოკუმენტების წარმოება IBAO-ს ეთიკურ პრინციპებთან შესაბამისობაში იქნება.

კანდიდატის სახელი: A.J. iba Candidate

სუპერვიზორის სახელი: Michael Iba Supervisor

კანდიდატის ელ-ფოსტა: ajibacandidate@gmail.com

სუპერვიზორის ელ-ფოსტა: Michaelibasupervisor@gmail.com

კანდიდატის ხელმოწერა:

სუპერვიზორის ხელმოწერა:

სამუშაო პრაქტიკა სუპერვიზიით

ჯგუფური სუპერვიზია უნდა შედგებოდეს სუპერვიზიის საერთო რაოდენობიდან არაუმეტეს 50% და 5 კანდიდატისა ჯგუფში.

სერტიფიკაციის/დასწავლის პროცესში კანდიდატს შეუძლია ჰყავდეს რამდენიმე სუპერვიზორი.

- თითოეული სუპერვიზორი დარეგისტრირებული უნდა იყოს theibao.com გვერდზე;
- შეთანხმება უნდა იყოს თითოეულ სუპერვიზორთან;
- ქცევის ანალიზის საერთაშორისო ორგანიზაციის(IBAO) ეთიკის პრინციპების დარღვევის შემთხვევაში სუპერვიზორი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს კანდიდატის სუპერვიზია;

კანდიდატმა უნდა დააგროვოს 1000(ათასი) პრაქტიკული საათი სუპერვიზიით;

ყოველი 20(ოცი) პრაქტიკული საათისთვის საჭიროა 1(ერთი) საათი სუპერვიზია;

უნდა წარმოადგენდეს პრაქტიკული მუშაობის პირდაპირ დაკვირვებას(პირდაპირი სუპერვიზია);

ერთი კვირის განმავლობაში კანდიდატს შეუძლია სუპერვიზიით მაქსიმუმ 40(ორმოცი) პრაქტიკული საათის დაგროვება;

- თუ კანდიდატმა 1 (ერთი) კვირის განმავლობაში დააგროვა 40(ორმოცი) პრაქტიკული საათი სუპერვიზიით, საჭიროა 2(ორი) საათი სუპერვიზია;

- თუ კანდიდატმა 1 (ერთი) კვირის განმავლობაში დააგროვა 20(ოცი) პრაქტიკული საათი სუპერვიზიით, საჭიროა 1(ერთი) საათი სუპერვიზია;

- თუ კანდიდატმა 2 (ორი) კვირის განმავლობაში დააგროვა 40(ორმოცი) პრაქტიკული საათი სუპერვიზიით, საჭიროა 2(ორი) საათი სუპერვიზია;

კანდიდატის სუპერვიზიის პერიოდში დასაშვები საქმიანობა დაყოფილია ორ კატეგორიად: „პრაქტიკა ველზე“ და “სამუშაო პროგრამის მომზადებისთვის განკუთვნილი დრო“.

დასაშვებია სუპერვიზიის საათები შეგროვდეს სრულად დისტანციურად.

პრაქტიკული საათების ტიპები

სერტიფიცირებისთვის კანდიდატს სჭირდება სუპერვიზიით 1000 პრაქტიკული საათის დაგროვება. სუპერვიზიის პერიოდში დასაშვები საქმიანობა მიმართული ორ კატეგორიად, როგორიცაა „პრაქტიკა ველზე“ გულისხმობს როდესაც კანდიდატი მუშაობს უშუალოდ კლიენტთან ქცევის ანალიზის გამოყენებით. ხოლო პროგრამის მომზადებისთვის განკუთვნილი სამუშაო დრო გულისხმობს იმ მხარდამჭერი საქმიანობის უზრუნველყოფას, რაც უშუალოდ სერვისის მიწოდებისთვისაა საჭირო.

პრაქტიკა ველზე გულისხმობს: ახალი ვერბალური უნარების სწავლებას, უნარების შეფასების ინსტრუმენტების ადმინისტრირებას (ABLLS-R or AFLS), ფუნქციური ანალიზის ჩატარებას, მასწავლებლების ტრენინგს, ფუნქციურ-კომუნიკაციური (FCT) დიფერენციალური ალტერნატიული ქცევის (DRA) დასწავლას და სხვა ქცვეითი ინტერვენციების იმპლემენტაციას.

პროგრამის მომზადებისთვის განკუთვნილი სამუშაო დრო გულისხმობს: გრაფიკების მომზადებას, მონაცემების ანალიზს, სწავლების პროტოკოლების შექმნას, ABA სესიის წიგნის ორგანიზებას, სამეცნიერო სტატიების კითხვას ინტერვენციის დაგეგმვისთვის, მონაცემების შეგროვებისთვის შესაბამისი სისტემების შექმნას და ა.შ.

კანდიდატმა (IBA) უნდა დააგროვოს პრაქტიკული სამუშაოს სულ მცირე 400 (ოთხასი) საათი და პროგრამის მომზადებისთვის განკუთვნილი სამუშაო დროის სულ მცირე 400(ოთხასი) საათი. დარჩენილი 200 (ორასი) საათი კანდიდატს შეუძლია გადაანაწილოს მისთვის სასურველი კომბინაციით ან პრაქტიკულ სამუშაოზე ან პროგრამის მომზადებისთვის განკუთვნილ დროზე. მაგალითისთვის, კანდიდატმა შესაძლებელია დააგროვოს პრაქტიკული სამუშაოს 600 (ექვსასი) საათი და პროგრამის მომზადებისთვის განკუთვნილი სამუშაო დროის 400 (ოთხასი) საათი ან პრაქტიკული სამუშაოს 510 საათი და პროგრამის მომზადებისთვის განკუთვნილი სამუშაო დროის 490 საათი. მისაღებია ყველა კომბინაცია, სადაც საბოლოო საათების რაოდენობა შეადგეს 1000 საათს და ასევე ამ 1000 საათში შემავალი საათები 400 საათი, როგორც მინიმუმ უნდა ეთმობოდეს პრაქტიკულ სამუშაოს და 400 საათი პროგრამის მომზადებისთვის განკუთვნილ სამუშაო დროს.

აუცილებელია რომ სუპერვიზიის საათების დოკუმენტირება განხორცილედეს ყოველთვე სუპერვიზიის ფორმის შევსებით.



სუპერვიზიის ტიპები

მოთხოვნილი 1000 პრაქტიკული საათიდან კანდიდატი იღებს 50 საათს სუპერვიზიას. სუპერვიზორისგან სავალდებულოა 2 ტიპის სუპერვიზიის წარმოდგენა: პირდაპირი სუპერვიზია და არაპირდაპირი სუპერვიზია.

პირდაპირი სუპერვიზია გულისხმობს კანდიდატის სამუშაო პროცესში დაკვირვებას, როდესაც ეს უკანასკნელი უშუალოდ კლიენტს უწევს ქგა სერვისს. ამ დროს სუპერვიზორი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სესიაზე ფიზიკურად ან ვირტუალურად სხვადასხვა აპლიკაციების(Hi Rasmus, Zoom, GoTo Meeting, FaceTime და ა. შ) საშუალებით ან მოგვიანებით ვიდეოჩანაწერის განხილვით(კანდიდატი იწერს სესიას კლიენტთან და აწვდის სუპერვიზორს მოგვიანებით განხილვისთვის).

არაპირდაპირი სუპერვიზია-არის, როდესაც სუპერვიზორი და კანდიდატი განიხილავენ ქცევის გამოყენებით ანალიზთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის პრაქტიკულ საათებს სუპერვიზიით. არაპირდაპირი სუპერვიზიის საათები შეიძლება ჩაითვალოს თუ სუპერვიზორი წარმოდგენილია ფიზიკურად ან ვირტუალურად სხვადასხვა აპლიკაციების (Hi Rasmus, Zoom, GoTo Meeting, FaceTime და ა.შ) საშუალებით. *გთხოვთ გაითვალისწინეთ: არაპირდაპირი სუპერვიზიის საათები არ გულისხმობს ვიდეო ჩანაწერის განხილვას. ეს არის სუპერვიზორის მიერ კანდიდატის სწავლების უშუალო პროცესი განხორციელებული რეალურ დროში.*

20 საათი ეთმობა პირდაპირ სუპერვიზიას(პირადპირი დაკვირვება)
20 საათი ეთმობა არაპირდაპირ სუპერვიზიას(სწავლება)
დარჩენილი 10 საათი შეგიძლიათ გადაანაწილოთ თქვენთვის სასურველი კომბინაციით(პირდაპირი-არაპირდაპირი).

50 სუპერვიზიის საათი

20 საათი	20 საათი	10 საათი
20 საათი პირადპირი დაკვირვება	20 საათი არაპირდაპირი სუპერვიზია	10 საათი პირდაპირი ან არაპირდაპირი



სუპერვიზიის დოკუმენტების წარმოება

09

პრაქტიკა სუპერვიზიით და სუპერვიზიის საათების დადოკუმენტირება

სუპერვიზორი და კანდიდატი ვალდებულები არიან აწარმოონ დოკუმენტაცია ყოველი სუპერვიზიული შეხვედრის შემდეგ (იგულისხმება ნებისმიერი ტიპის შეხვედრა:

ინდივიდუალური, ჯგუფური, პირისპირ და დისტანციური). სუპერვიზიის დოკუმენტი ივსება ონლაინ, ქცევის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBAO) ვებ. გვერდის მეშვეობით. კანდიდატმა საკუთარ ანგარიშში უნდა ამოირჩიოს ღილაკი „სუპერვიზორი“



სუპერვიზიის ყოველი საათის აღრიცხვა სავალდებულოა და უნდა იყოს შეტანილი სუპერვიზიის ფორმაში. მხოლოდ აღრიცხვის შემთხვევაში შეუძლია კანდიდატს დაადასტუროს სუპერვიზიის 50 საათი.

დოკუმენტაცია გულისხმობს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ აუცილებელ ინფორმაციას:

- სუპერვიზიის შეხვედრის დრო
- ადგილი
- სუპერვიზიის დასაწყისი და დასასრული, სუპერვიზიის მიმდინარე პერიოდის ხანგრძლივობა
- სუპერვიზიით პრაქტიკული სამუშაოს შესრულების საერთო დრო
- პროგრამის მომზადებისთვის განკუთვნილი სამუშაოს საერთო დრო
- სუპერვიზიის ტიპი(ინდივიდუალური/ჯგუფური)
- მიმდინარე პერიოდში პრაქტიკული საათების (არაპირდაპირი) საერთო რაოდენობა;
- მიმდინარე პერიოდში სუპერვიზორთან ერთად ჩატარებული (პირდაპირი) საათების საერთო რაოდენობა;
- სუპერვიზიის ჩანაწერი
- უკუკავშირი

სუპერვიზიის დოკუმენტების წარმოება

პრაქტიკა სუპერვიზიით და სუპერვიზიის საათების დადოკუმენტირება

სუპერვიზიის დოკუმენტის შექმნა საკუთარ ანგარიშში ქცევის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBAO) ვებ. გვერდზე კანდიდატის პასუხისმგებლობას წარმოადგენს. კანდიდატი საკუთარ ანგარიშში ავსებს ფორმას სუპერვიზიისთვის საჭირო ყველა საჭირო რელევანტური ინფორმაციით, ხელს აწერს ელექტრონულად და აგზავნის სუპერვიზორთან. კანდიდატის მიერ სუპერვიზიის დოკუმენტის გაგზავნის შემდგომ სუპერვიზორი იღებს შეტყობინებას. სუპერვიზორი საკუთარ ანგარიშში ღილაკზე "კანდიდატი" დაჭერით ირჩევს კანდიდატს, ავსებს მისთვის სავალდებულო საჭირო ინფორმაციით, აწერს ხელს და ადასტურებს. ამის შემდეგ სუპერვიზიის დამადასტურებელი ხელმოწერილი ფორმა და ყოველი შემდგომი სუპერვიზიის შევსებული ფორმა ხელმისაწვდომი იქნება საკუთარ ანაგიშებში, როგორც კანდიდატისთვის ასევე სუპერვიზორისთვის.



დაწყების პერიოდი	დასრულების პერიოდი	სტატუსი	პრაქტიკა ველზე	პროგრამის შექმნა	პირდაპირი სუპერვიზია	არაპირდაპირი სუპერვიზია	
07/05/2020	07/18/2020	მიღებულია სუპერვიზორის მიერ	0 სთ.	40 სთ.	0 სთ.	2 სთ.	შენიშვნ
07/19/2020	08/02/2020	მიღებულია სუპერვიზორის მიერ	20 სთ.	10 სთ.	1 სთ.	0.5 სთ.	შენიშვნ
11/09/2020	11/23/2020	მიღებულია სუპერვიზორის მიერ	20 სთ.	20 სთ..	1 სთ.	1 სთ.	შენიშვნ
03/16/2021	03/29/2021	მიღებულია სუპერვიზორის მიერ	10 სთ.	0 სთ.	0.5 სთ.	0 სთ.	შენიშვნ
04/05/2021	04/18/2021	მიღებულია სუპერვიზორის მიერ	40 სთ.	0 სთ.	2 სთ.	0 სთs.	შენიშვნ
05/10/2021	05/24/2021	მიღებულია სუპერვიზორის მიერ	30 სთ.	10 სთ.	1.5 სთ..	0.5 სთ.	შენიშვნ

სუპერვიზიის დოკუმენტების წარმოება

პრაქტიკა სუპერვიზიით და სუპერვიზიის საათების დადოკუმენტირება

სუპერვიზიით პრაქტიკული საათების რაოდენობა, პროგრამის მომზადებისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა, არაპირდაპირი და პირდაპირი დაკვირების საათები ავტომატურად განახლდება, როგორც კანდიდატის ასევე სუპერვიზორის საკუთარ ანგარიშებში.
ქცევის ანალიზის საერთაშორისო ორგანიზაცია(IBAO) დაარეგისტრირებს ამ საათებს. კანდიდატს და სუპერვიზორს შესაძლებლობა ექნებათ თვალი ადევნონ კანდიდატის მიერ დაგროვილ საათებს და პროცენტულ მაჩვენებლებს.



სუპერვიზიის დოკუმენტების წარმოება

სუპერვიზიის ფორმის შევსების დეტალები/თავისებურებანი

კანდიდატმა უნდა შეავსოს სუპერვიზიის ფორმა პრაქტიკის ყოველი პერიოდისთვის. პრაქტიკის ერთი პერიოდი შეიძლება წარმოადგენდეს 1,2,3, ან 4 კვირას. ამასთანავე, ყოველი პრაქტიკის პერიოდი განსაზღვრულია არაუმეტეს 40 საათისა.

მაგალითი:

- თუ 1 კვირის განმავლობაში დაგროვდა 40 საათი, სუპერვიზიის პრაქტიკის პერიოდი წარმოადგენს 1 კვირას;

- თუ 2 კვირის განმავლობაში კანდიდატმა დააგროვა 20 პრაქტიკული საათი 1 კვირაში(20 საათი პირველ კვირას და 20 საათი მეორე კვირას), მაშინ პრაქტიკის ფორმა იქნება 2 კვირიანი;

- თუ კანდიდატი აგროვებდა ყოველ კვირა 10 პრაქტიკულ საათს 4 კვირის განმავლობაში(10 საათი 1 კვირას, 10 საათი 2 კვირას, 10 საათი 3 კვირას, 10 საათი 4 კვირას) შედეგად, 40 საათიანი პრაქტიკული პერიოდი განისაზღვრება 4 კვირად.

- თუ კანდიდატმა პირველ კვირას დააგროვა 40 პრაქტიკული საათი და მეორე კვირას კიდევ 40 პრაქტიკული საათი, მან უნდა შეავსოს სუპერვიზიის ორი დამადასტურებელი ფორმა: ერთი ფორმა პირველი კვირის დასადასტურებლად და მეორე მეორე კვირის. რადგან მაქსიმალური რაოდენობა ერთი პერიოდისთვის არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს.

- თუ კანდიდატმა პირველი კვირის განმავლობაში დააგროვა 20 პრაქტიკული საათი და მეორე კვირას 40 პრაქტიკული საათი, უნდა შეივსოს ორი ფორმა, რადგან სუპერვიზიის საათების მოთხოვნილ რაოდენობას აჭარბებს. პირველ კვირას შეივსება 20 პრაქტიკული საათი და მეორე კვირას 40 პრაქტიკული საათი.

სუპერვიზიის დოკუმენტების წარმოება

13

სუპერვიზიის ფორმის შევსების დეტალები/თავისებურებანი

პრაქტიკული საათების საერთო რაოდენობა უნდა იყოს 10-ის ჯერადი.

წარმოდგენილ სუპერვიზიის დამადასტურებელ ფორმაში საათების რაოდენობა უნდა იყოს 10-ის ჯერადი(მაგ., 10, 20, 30 და ა.შ.) კანდიდატს არ შეუძლია წარმოადგინოს სუპერვიზიის დამადასტურებელი ფორმა 7 საათის, 12 საათის, 18 საათის და ა.შ. მიიღება მხოლოდ 10-ის ჯერადი საათების რაოდენობა(მაგ., 10,20,30,40)

კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სუპერვიზიის ფორმაში მითითებული საათების შესაბამისად ავტომატურად აისახება სუპერვიზიის საათებიც. პირობითად, თუ კანდიდატმა მიუთითა პროგრამის მომზადებისთვის განკუთვნილი დრო 20 საათი, არაპირდაპირი სუპერვიზიის დრო 1 საათი ავტომატურად აისახება. ველზე მუშაობის 30 საათის ატვირთვის შემთხვევაში 1,5 საათი შესაბამისი სუპერვიზიის აიტვირთება. ყოველი 20 პრაქტიკული საათის შემდეგ მხოლოდ 1 საათი სუპერვიზია ჩაითვლება. კანდიდატი ვერ დააგროვებს 1 საათზე მეტ სუპერვიზიას 20 საათის მუშაობისთვის. საათების ამ გადანაწილების შესაბამისად კანდიდატს შეუძლია სტაბილურად და გარანტირებულად დააგროვოს თავისი პრაქტიკული სამუშაოს შესაბამისი სუპერვიზიის საათები. მაგალითისთვის, კანდიდატს არ შეუძლია 100 საათი იმუშაოს სუპერვიზიის გარეშე და შემდეგ მიიღოს ერთიანად სუპერვიზიის 5 საათი, იმისათვის რომ იყოს დაცული თანაფარდობა 1/20. იმისათვის რომ თითოეული კანდიდატის პრაქტიკა ჩაითვალოს ყოველ 20 პრაქტიკულ საათზე უნდა მოდიოდეს 1 საათი სუპერვიზია. თუ კანდიდატი მუშაობს 40 საათს და იღებს მხოლოდ 1 საათს სუპერვიზიას, ნამუშევარი 40 პრაქტიკული საათიდან აღირიცხება მხოლოდ 20 პრაქტიკული საათი საერთო 1000 პრაქტიკული საათების დაგროვებისთვის.



უწყვეტი განათლება

14

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობა საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსის(IBA) საქმიანობაში გახლავთ უწყვეტი განათლება და პროფესიული განვითარება. სერტიფიცირებამდე კანდიდატი ვალდებულია დააგროვოს უწყვეტი განათლების(continuing education units, CEUs) 12 კრედიტი/ერთეული.

თითოეული კანდიდატი ვალდებულია დოკუმენტურად დაადასტუროს უწყვეტი განათლების კრედიტები. ამისათვის საჭიროა წამოდგენილ დოკუმენტში მკაფიოდ იყოს გაწერილი შინაარსი, ხანგრძლივობა, ჩატარების თარიღი და ვის მიერ არის გაცემული(ორგანიზაცია/პიროვნება). მისაღებია უწყვეტი განათლების შემდეგი ტიპები:

- მონაწილეობა ინდივიდუალურ ან ონლაინ სემინარებში, ვებინარებსა და/ან ტრეინინგებში ABA ან ქცევის ანალიზთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.
- ABA ან ქცევის ანალიზთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე სემინარის, ვებინარების ან ტრეინინგის წარდგენა.

კანდიდატის სერტიფიცირებამდე მოთხოვნილი უწყვეტი განათლების კრედიტების გადანაწილება (CEU)

- **უწყვეტი განათლების 12 კრედიტი**
  - 2 საათი ეთიკა
  - 2 საათი სუპერვიზია
  - 2 საათი კულტურული მრავალფეროვნება და ცნობიერება.
  - 6 საათი ქცევის გამოყენებითი ანალიზის შესახებ თემები

კანდიდატის პროექტები

კანდიდატმა (IBA), რომელმაც სერტიფიცირებისთვის აირჩია პრაქტიკული/პროფესიული გამოცდილების გზა უნდა წარმოადგინოს კანდიდატის პროექტი.

პროექტის თემის განსაზღვრა და შეფასება წარმოადგენს კანდიდატის სუპერვიზორის პასუხისმგებლობას.

კანდიდატის პროექტი უნდა შეესაბამებოდეს დოკუმენტს „საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსის სავალდებულო სასწავლო დავალებათა ნუსხა, REOs. წარმოდგენილი იყოს კანდიდატის ცოდნა და კომპეტენცია, რაც შეესაბამება ქცევის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBAO) მიერ აკრედიტებული კურსების სილაბუსს (Approved Content Provider (ACP)).

კანდიდატის ნაშრომი უნდა იყოს უნიკალური და განსხვავებული ვიდრე ქცევის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBAO) მიერ აკრედიტებული სასწავლო პროგრამების ჩარჩოში წარმოდგენილი.

კანდიდატის მიერ სავალდებულოა ორი განსხვავებული ტიპის პროექტის წარმოდგენა. მაგალითად, თუ პირველი პროექტი წარმოადგენს Power Point-ს პრეზენტაციას, მეორე არ შეიძლება Power Point-ში იყოს წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა თუ პირველი პრეზენტაციის თემა არის განსხვავებული. სუპერვიზორი შეაფასებს ორივე პროექტს ცალ-ცალკე და შეავსებს შეფასების ფორმას, რომელსაც ატვირთავს ქცევის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBAO) საკუთარ ანგარიშში

მისაღები პროექტის ტიპის მაგალითი

- ლიტერატურის მიმოხილვა
- ქცევის გამოყენებითი ანალიზის(ABA) თემის პრეზენტაცია Power Point-ში
- ვიდეო ქცევის გამოყენებითი ანალიზზე დაფუძნებული სერვისი მიწოდების შესახებ
- კლიენტის უნარების შეფასების დასკვნის წარმოდგენა
- სტატიის შემაჯამებელი დასკვნა

კანდიდატის პროექტის შეფასების ფორმა

IBAO
International Behavior Analysis Organization

თარიღი:_____ კანდიდატი: _____

სუპერვიზორი: _____

პროექტის აღწერა (ლიტერატურული მიმოხილვა, პრეზენტაცია, სტატიის დასკვნა):

_____

_____

_____

_____

შეფასება(ჩააბარა/ვერ ჩააბარა) _____

კანდიდატის ხელმოწერა _____

სუპერვიზორის ხელმოწერა _____

კანდიდატმა უნდა შეასრულოს ორი სხვადასხვა პროექტი. თითოეული პროექტისთვის ივსება სხვადასხვა ფორმა. სუპერვიზორი ვალდებულია თემის და პროექტის ტიპის შერჩევაზე, მის დამტკიცებაზე და შეფასებაზე. წარმოდგენილ პროექტს რომელიც დადებითად შეფასდა სუპერვიზორი ტვირთავს საკუთარ ანგარიშში. იმ შემთხვაში თუ სუპერვიზორის მიერ პროექტი შეფასდა არადამაკმაყოფილებლად ფორმის შევსება არ არის საჭირო.

კანდიდატის უნარების შეფასება

სუპერვიზიის განმავლობაში კანდიდატის სუპერვიზომა უნდა შეაფასოს კანდიდატის სამუშაო პრაქტიკისთვის საჭირო უნარები, რომელსაც კანდიდატი უნდა დაეუფლოს სუპერვიზიის პერიოდში. უნარების ჩამონათვალი განსხვავებულია ყოველი კანდიდატისათვის. არ არსებობს ყველასთვის ერთი უნივერსალური უნარების შეფასების ჩამონათვალი. ერთი კანდიდატისთვის შეიძლება იყოს ფუნქციური ანალიზის ჩატარების უნარის შეფასება, მეორესთვის კი ვერბალური ქცევის ეტაპების შეფასებისა და პროგრამების შედგენა (AFLS or VB-MAPP) ან სერტიფიცირებული ქცევითი თერაპევტისათვის უკუკავშირის დაბრუნება ან კვებითი პროტოკოლების გამოყენების უნარების შეფასება, მეტყველების უნარების შეფასება, აკადემიური უნარების შეფასება და ა.შ.

უნდა შეფასდეს ის უნარები და სერვისები რომელსაც კანდიდატი სუპერვიზიის პერიოდში ახორციელებდა. სუპერვიზორი პასუხისმგებელია შექმნას კანდიდატის უნარების შეფასების ფორმა, რომელსაც გამოიყენებს კანდიდატის სუპერვიზიის პერიოდში.

- უნარების შეფასების დრო უნდა გრძელდებოდეს სულ მცირე 10 წუთი და უნდა მოიცავდეს სულ მცირე 10 უნარის ტესტირებას;
- შესრულება მინიმუმ 80% უნდა წარმოადგენდეს;
- აუცილებელია ორი შეფასების განხორციელება;
- მნიშვნელოვანია ყოველი შეფასების დროს უნარების შეფასების ჩამონათვალი;
- კანდიდატის უნარების შეფასება-წარმოადგენს სერვისის მიწოდებას ან უნარის სიზუსტით შესრულებას რეალურ დროში;

კანდიდატის უნარების შეფასების სქემის შექმნა (CST)

- განსაზღვრეთ მომსახურების ტიპი ან უნარების შეფასების ჩამონათვალი;
- არჩეული სერვისისთვის შექმენით ამოცანათა ჩამონათვალი;
- შფასებისათვის ამოცანათა ჩამონათვალიდან აირჩიეთ მინიმუმ 10 კომპონენტი;
- შექმენით შეფასების სისტემა(დიახ/არა/+/-)
- შეაფასეთ მოთხოვნილი უნარების დემონსტირებისას კანდიდატის შესრულება;

კანდიდატის სუპერვიზორი ვალდებულია შევსებული ფორმა ატვირთოს ქცევის ანალიზის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBAO) ვებ. გვერდზე საკუთარ ანგარიშში.

კანდიდატის შეფასების ფორმა

18

თარიღი _____ კანდიდატი _____ სუპერვიზორი _____

დაწყების დრო _____ დამთავრების დრო _____ ხანგრძლივობა _____

	ცდა 1	ცდა 2	ცდა 3	ცდ ა 4	ცდ ა 5
მასალები ორგანიზებულია	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
იქცევს მოსწავლის ყურადღებას	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
აწვდის Sd -ს	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
ელოდება 5 წამი მოსწავლის რეაქციას	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
განამტკიცებს სწორ პასუხებს	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
აწვდის Sd და შემდეგ დახმარებას, თუ პასუხი არასწორია	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
აწესრიგებს მასალას	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
აგროვებს მონაცემებს	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
ემზადება შემდეგი ცდისთვის	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
მართავს ქცევას ცდებს შორის	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა	კი/ არა
	/10	/10	/10	/10	/10

ამ მაგალითში, სუპერვიზორი აფასებს ცალკეული ცდებით სწავლების უნარს. უნარი 10 სხვადასხვა კომპოხეხტად არის წარმოდგენილი და ფასდება 5 ცდის განმავლობაში. კანდიდატი იყენებს ცალკეული ცდებით სწავლებას კლიენტთან, ამ დროს სუპერვიზორი აკვირდება და აფასებს კანდიდატის მიერ განხორციელებული პროცედურის სიზუსტეს. გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ ეს შაბლონი მხოლოდ ვიზუალური მაგალითისთვის არის მოცემული. თვითოელი კანდიდატის უნარების ტესტირების ხანგრძლივობა უნდა იყოს სულ მცირე 10 წუთი.

კანდიდატის უნარების შეფასების ფორმა

IBAO
International Behavior Analysis Organization

თარიღი _____ კანდიდატი _____

სუპერვიზორი _____

კანდიდატის უნართა ტესტირების აღწერა _____

_____

_____

_____

_____

კანდიდატის ხელმოწერა _____

სუპერვიზორის ხელმოწერა _____

ფორმა ივსება ყოველ ტესტირებაზე. აუცილებელია სულ მცირე ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული უნარის ტესტირება. სუპერვიზორი ვალდებულია დაგეგმოს, ჩაატაროს და შეაფასოს კანდიდატის უნართა ტესტირება. სუპერვიზორი ვალდებულია ატვირთოს შევსებული ფორმა IBAO-ს ანგარიშზე. უნდა აიტვირთოს მხოლოდ იმ ტესტირების შედეგები, რომელიც სუპერვიზორმა დამაკმაყოფილებლად ჩაუთვალა კანდიდატს. იმ შემთხვევაში თუ კანდიდატმა ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი შედეგი ტესტირებისას, ფორმის ატვირთვა საჭირო არ არის. კანდიდატს შეუძლია შეუზღუდავი რაოდენობით ტესტირება გაიაროს სასურველი შედეგის მიღწევამდე (მოეთხოვება, სულ მცირე, ორ სხვადასხვა უნარში წარმატებული ტესტირება).

გამოცდა IBA ონლაინ

კანდიდატის (IBA) მხრიდან ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ მათ შესაძლებლობა ეძლევათ დარეგისტრირდნენ და ონლაინ ჩააბარონ გამოცდა (IBA). გამოცდა შემუშავებულია ისე, რომ კანდიდატებს მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან შესაძლებლობა ეძლევათ სხვა ქვეყანაში გამგზავრებისა და ტესტირების ცენტრის გარეშე, სახლიდან ჩააბარონ გამოცდა. გამოცდის ჩასაბარებლად საჭიროა მშვიდი, მკაცრად კონტროლირებული სამუშაო ადგილი და უწყვეტი კავშირი ინტერნეტთან. გამოცდის ზედამხედველობა მიმდინარეობს ონლაინ.



IBA გამოცდის დეტალები:

- ონლაინ გამოცდა საგამოცდო ცენტრში მისვლის გარეშე;
- ონლაინ და ვირტუალური ზედამხედველობა;
- 150 დახურული ტესტური დავალება (მრავლობითი არჩევანი ან მცდარის/სწორია);
- 3 საათი გამოცდის ჩასაბარებლად;
- ქცევის შესახებ მეცნიერების 7 სფეროს ცოდნის შეფასება;

მას შემდეგ რაც თქვენ უკვე ქცევის საერთაშორისო ანალიტიკოსი (IBA) გახდით

მას შემდეგ რაც თქვენ გახდით სერტიფიცირებული საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსი(IBA) სერტიფიკატის შესანარჩუნებლად სავალდებულოა გარკვეული მოთხოვნების შესრულება. სერტიფიკატის ციკლი განსაზღვრულია 2 წლის ვადით. ეს ნიშნავს, რომ სერტიფიკატი(IBA) ძალაშია მისი აღების დღიდან 2 წლის განმავლობაში. სერტიფიკატის შენარჩუნებისთვის საჭიროა ყოველ ორ წელიწადში მოხდეს რესერტიფიცირება(განახლება). სერტიფიცირების პირველი წლისგან განსხვავებით სერტიფიცირებულ ქცევის ანალიტიკოსი ვალდებულია დააკამყოფილოს დამატებითი მოთხოვნები.

პირველი სასერტიფიკატო ციკლი

- **უწყვეტი განათლების 24 კრედიტი/ერთეული**
  - 4 საათი ეთიკა
  - 4 საათი სუპერვიზია
  - 4 საათი კულტურული მრავალფეროვნება და ინფორმირებულობა
  - 12 საათი ქგა (ABA) თემები
- **მენტორობის 24 საათი პირველი სასერტიფიკატო ციკლის განმავლობაში**

უწყვეტი განათლება

ყველა საერთაშორიოს ქცევის ანალიტიკოსი ვალდებულია დააგროვოს უწყვეტი განათლების კრედიტები. ამისათვის საჭიროა წარმოდგენილი იყოს შესაბამისი დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ იქნება მოცემული ინფორმაცია ტრენინგის შინაარსის, ხანგრძლივობის შესახებ.

- მონაწილეობა ინდივიდუალურ ან ონლაინ სემინარებში, ვებინარებსა და/ან ტრეინინგებში ABA ან ქცევის ანალიზთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.
- ABA ან ქცევის ანალიზთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე სემინარის, ვებინარების ან ტრეინინგის წარდგენა.

პროფესიული მენტორობა

სავალდებულო თანამშრომლობის მოთხოვნა მენტორთან სერტიფიცირების ციკლის პირველი წლის განმავლობაში წარმოადგენს ყველა საერთაშორისო ქცევითი ანალიტიკოსის (IBA) ვალდებულებას. რაც ხელს შეუწყობს დამწყები სპეციალისტების (IBA) პროფესიულ ზრდას, კონტაქტების დამყარებას სხვა სერტიფიცირებულ სპეციალისტებთან.

მენტორობა წარმოადგენს არაფორმალურ პროცესს, რომლის დროსაც დამწყებ სპეციალისტს აქვს შესაძლებლობა პროფესიული პრაქტიკის, ეთიკური საკითხების და სხვა მისთვის საჭირო ინფორმაციის შესახებ მიიღოს კვალიფიციური რჩევები და პასუხები. მენტორი არ არის პასუხისმგებელი დამწყების სპეციალისტის გადაწყვეტილებებზე ან ქმედებებზე. მენტორობის მთავარი მიზანი არის პროფესიული თანამშრომლობა, რეკომენდაციები და რჩევები სერვისის მიწოდების საწყის ეტაპზე.

მენტორობა სავალდებულოა პირველი სასერტიფიკაციო ციკლის დროს.

მენტორი უნდა აკმაყოფილებდეს იგივე მოთხოვნებს, რასაც სუპერვიზორი. <u>მენტორის კვალიფიკაცია შემოწმდება ქცევის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBAO) აუდიტის მიერ.</u>

მენტორთან თანამშრომლობა სავალდებულოა პირველi 2 წლიანი სასერტიფიკატო ციკლის განმავლობაში, სავალდებულოა დააგროვოს 24 საათი.

მენტორთან თანამშრომლობა არ არის სავალდებულო გრძელდებოდეს თანმიმდევრულად თვეების მიხედვით.

სავალდებულოა თვეში 2 შეხვედრა. შესაძლებელია ერთი ორ საათიანი შეხვედრა ან რამდენიმე შეხვედრა.

შეხვედრა მენტორთან შეიძლება განხორციელდეს როგორც პირისპირ, ტელეფონით ან რომელიმე აპლიკაციის საშუალებით ონლაინ (Hi Rasmus, Zoom, FaceTime)

შესაძლებელია რამდენიმე მენტორთან თანამშრომლობა.

IBA და მისი მენტორი ვალდებულები არიან აწარმოონ დოკუმენტაცია და ეს დოკუმენტი ყოველი შეხვედრისას უნდა შეივსოს.

დოკუმენტაცია

დოკუმენტაციის შევსება ხდება ქცევის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBAO) გვერდზე.

დამწყები სპეციალისტი (IBA) ქცევის საერთაშორისო ორგანიზაციის საკუთარ ანაგიშში ავსებს მენტორობის ფორმას. ამის შემდეგ ავტომატური შეტყობინება მისდის მენტორს და მენტორს აქვს შესაძლებლობა თავისმხრივ შეავსოს ფორმა. ამის შემდეგ აღნიშნული ფორმა ხელმისაწვდომი იქნება ორივე სპეციალისტის საკუთარ ანგარიშში.

მენტორთან შეხვედრის ფორმა

თარიღი_____შეხვედრის ხანგრძლივობა _____

IBA: _____ მენტორი _____

შეხვედრის ფორმა(შემოხაზეთ ერთი) პირისპირ, ონლაინ, ტელეფონი

შენიშვნა _____

_____

_____

_____

_____

ხელმოწერა _____